

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
სამშენებლო ფაკულტეტის საბჭოს სხდომის

ოქმი № 7

18.12.2019 წ.

2019 წლის 18 დეკემბერს შედგა სამშენებლო ფაკულტეტის საბჭოს სხდომა.

ფაკულტეტის სხდომას 215 წევრიდან დაესწრო 130 წევრი.

(დასწრების სია თან ერთვის ოქმს)

დღის წესრიგი

1. სამშენებლო ფაკულტეტის 2019 წლის ბიუჯეტში ცვლილების შესახებ- მომხსენებელი, პროფესორი გინა გურეშიძე;
2. სამშენებლო ფაკულტეტის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვის შესახებ- მომხსენებელი, პროფესორი გინა გურეშიძე, პროფესორი ტარიელ კვიციანი;
3. სადოქტორო-საგანმანათლებლო ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი პროგრამების „წყლის ინჟინერია“ განხილვის და დამტკიცების შესახებ- მომხსენებელი, პროფესორი მარინა ჯავახიშვილი;
4. სამაგისტრო თემებისა და მეცნიერ-ხელმძღვანელების განხილვის შესახებ- მომხსენებელი, პროფესორი ნუგზარ მურღულია;
5. ფაკულტეტის საბჭოში შემავალ სტუდენტთა ახალი შემადგენლობის დამტკიცების შესახებ -მომხსენებელი, სტუდენტური თვითმმართველობის თავმჯდომარე დემეტრე ჯანჯალაშვილი;
6. სტუ-ის უძრავი ქონების ბაზრის კვლევის ცენტრის ხელმძღვანელის ანგარიში, 2019 წელს გაწეული სამუშაოების შესახებ- მომხსენებელი, პროფესორი გრიგოლ ხოფერია;
7. საუნივერსიტეტო, სასწავლო-სამეცნიერო ხიდსაცდელი ცენტრის ხელმძღვანელის ანგარიში, 2019 წელს გაწეული სამუშაოების შესახებ- მომხსენებელი, თამაზ ცვარიანი;
8. მიმდინარე საკითხები;

**1. მოისმინეს:** სამშენებლო ფაკულტეტის მენეჯერის პროფესორ გინა გურეშიძის ინფორმაცია სამშენებლო ფაკულტეტის 2019 წლის ბიუჯეტში ცვლილების შესახებ. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სტუ-ს სამშენებლო ფაკულტეტის 2019 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი კრედიტებიდან შემოსული თანხის (211 152 ლარი) გამო გაიზარდა 176 287 ლარით. დეფიციტური ბიუჯეტების შესავსებად

გადასაცემმა თანხამ შეადგინა - 180123 ლარი. შემოსავალი შემცირდა -3 836 ლარით და განისაზღვრა - 5179 403 ლარით.

განხორციელდა ცვლილება ეკონომიური კლასიფიკაციის მუხლებს შორის, კერძოდ, ქვემოთ მითითებული თანხით გაიზარდა შემდეგი მუხლები:

- 7000 ლარი - „პრემიის“ მუხლი;
- 272 803 ლარი - „შტატგარეშე მომუშავეთა თანამდებობრივი სარგოს“ მუხლი;
- 8 700 ლარი - „მივლინების“ მუხლი;
- 3465 ლარი-საკანცელარიო, საწერ-სახაზავი ქაღალდის ,საბუღალტრო ბლანკების, ბიულეტენების,საკანცელარიო წიგნების და სხვა ანალოგიური მასალების შეძენის მუხლი;
- 209 090 ლარი - შენობა-ნაგებობების და მათი მიმდებარე ტერიტორიების მიმდინარე რემონტის ხარჯის მუხლი;
- 2300 ლარი-საოფისე ტექნიკის, ინვენტარის,მანქანა-დანადგარების მოვლა-შენახვის, ექსპლუატაციისა და მიმდინარე რემონტის ხარჯი;
- 18041 ლარი-ელექტროენერჯის ხარჯი;
- 652 ლარი-მიმდებარე ტერიტორიების მოვლა;
- 465 ლარი- რეკლამის ხარჯის მუხლი;
- 900 ლარი - საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯები,რომლებიც არ კლასიფიცირდება“ საქონლისა და მომსახურების“ დანარჩენ მუხლებში;
- 2760 ლარი-დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარების მუხლი;
- 149 ლარი-მიწის გადასახადის მუხლი;
- 3575 ლარი -სხვადასხვა მიმდინარე ხარჯების სხვა დანარჩენი მიმდინარე ხარჯების მუხლი;

მითითებული თანხით შემცირდა შემდეგი მუხლები:

- 210 913 ლარი - თანამდებობრივი სარგოს მუხლი;
- 11879 ლარი-ნორმატიული აქტების საცნობარო და სპეციალური ლიტერატურის, ჟურნალ-გაზეთების შეძენა და ამავე მიზნებთან დაკავშირებული საგამომცემლო - სასტამბო (არაძირითადი საქმიანობის) ხარჯები;
- 41 376 ლარი-მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის ,საოფისე ინვენტარის შეძენა,დამონტაჟების/დემონტაჟის ხარჯი;
- 6000 ლარი-ოფისისათვის საჭირო საგნებისა და მასალების,რეცხვის,ქიმწმენდის და სანიტარული საგნების შეძენის ხარჯი;
- 4595 ლარი-წყლის ხარჯი;
- 652 ლარი- ბუნებრივი და თხევადი აირის ხარჯის მუხლი;

- 11955 ლარი-მიღებების და ღონისძიებების ხარჯები;
- 1000 ლარი-სამედიცინო დანიშულების მასალების,ინსტრუმენტების შეძენის ხარჯები;
- 640-სამედიცინო დეზინფექცია-დერატიზაციის სამედიცინო უტილიზაციის ხარჯები;
  
- 3730 ლარი-უნიფორმის შეძენის ხარჯები;
- 13913 ლარი-რბილი ინვენტარის,ხალიჩების,გზამკვლევის და ფარდა-ჟალუზების შეძენის ხარჯები;
- 7000 ლარი- ექსპერტიზის და შემოწმებების ხარჯის მუხლი;
  
- 7000 ლარი-კადრების მომზადება-გადამზადებასთან, კვალიფიკაციის ამაღლებასა და სტაჟირებასთან დაკავშირებული ხარჯის მუხლი;
  
- 10000 ლარი-სესიების,კონფერენციების,ყრილობების,სემინარების და სხვა სამუშაო შეხვედრების ორგანიზების ხარჯის მუხლი;
  
- 2000 ლარი-საკონსულტაციო,სანოტარო,თარჯიმნის და თარგმანის მომსახურების ხარჯის მუხლი;
- 23 500 ლარი-კულტურული,სპორტული,საგანმანათლებლო და საგამოფენო ღონისძიებების ხარჯები;
- 5000 ლარი-სამეცნიერო ხარჯების მუხლი;
- 1000 ლარი-ორდენების,სიგელების,სუვენირების,მედელების,დროშისა და სხვაფასიანი საჩუქრების შეძენის ხარჯები;
- 8 000 ლარი-სასწავლო და საწარმოო პრაქტიკასთან დაკავშირებული ხარჯების მუხლი;
  
- 2 550 ლარი -სასწავლო მიზნით საჭირო ნივთებისა და მასალების შეძენის ხარჯების მუხლი;
- 32 889 ლარი-ქონების გადასახადი;
- 46 953 ლარი- მოგების გადასახადის მუხლი;
- 10 000 ლარი-არასაცხოვრებელი შენობები;
- 30 000 ლარი-კომპიუტერული მოწყობილობების შეძენა;
- 26 191 ლარი-სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი,რომელიც არ არის კლასიფიცირებული;
- 15 000 ლარი-ლიცენზიები და კომპიუტერების პროგრამული უზრუნველყოფა;

**დაადგინეს:** ფაკულტეტის მენეჯერის, პროფესორ გინა გურეშიძის მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას 2019 წლის ბიუჯეტის ცვლილების შესახებ გაეწიოს რეკომენდაცია სტუდენტულ წარმომადგენლობით საბჭოზე დასამტკიცებლად.

**დადგენილება მიღებულ იქნა ერთხმად.**

**2. მოისმინეს:** სამშენებლო ფაკულტეტის მენეჯერის პროფესორ გინა გურეშიძის ინფორმაცია სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ. მომხსენებელმა აღნიშნა რომ, სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის 2020 წლის საპროგნოზო შემოსავლებმა შეადგინა 5 772 384 ლარი, რაც 19 376 ლარით მეტია წინა წლის თავდაპირველად დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით.

სამშენებლო ფაკულტეტის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ზოგიერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელი საბიუჯეტო კლასიფიკატორის მიხედვით იხილეთ დანართში.

**აზრი გამოთქვას პროფესორებმა:** ლია კახიანმა. ტარიელ კვიციანმა

**დაადგინეს:** ფაკულტეტის მენეჯერის პროფესორ გინა გურეშიძის მიერ წარმოდგენილ სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტს გაეწიოს რეკომენდაცია სტუ-ს წარმომადგენლობით საბჭოზე დასამტკიცებლად.

**დადგენილება მიღებულ იქნა ერთხმად.**

**3. მოისმინეს:** სამშენებლო ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის, პროფესორი მარინა ჯავახიშვილის ინფორმაცია სადოქტორო-საგანმანათლებლო ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი პროგრამების „წყლის ინჟინერია“ -ს შესახებ.

**აზრი გამოთქვას:** პროფესორებმა: დ. გურგენიძემ; ლ. კახიანმა;

**დაადგინეს:** სამშენებლო ფაკულტეტის სადოქტორო-საგანმანათლებლო ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი პროგრამები „წყლის ინჟინერია“ გადაეცეს რექტორს აკადემიურ საბჭოზე განხილვისა და დამტკიცების მიზნით.

**4. მოისმინეს:** პროფესორ ნუგზარ მურღულიას ინფორმაცია სამაგისტრო თემებისა და მეცნიერ-ხელმძღვანელების განხილვის შესახებ. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ შეიცვალა ხუთი თემის დასახელება აქედან ორი თემა - მშენებლობის მენეჯმენტის დეპარტამენტში, ხელმძღვანელი, პროფესორი გრიგოლ ხოფერია და სამი თემა - საინჟინრო მექანიკისა და სამშენებლო ტექნიკური ექსპერტიზის დეპარტამენტში, თემატიკა - სმსმ, ხელმძღვანელები: პროფესორი დემურ ტაბატაძე, ასოცირებული პროფესორი დ. ჯანყარაშვილი.

პროფესორმა ნუგზარ მურდულიამ საბჭოს გააცნო დასამტკიცებლად გამოტანილი თემების რაოდენობა შემდეგი თანმიმდევრობით:

დეპარტამენტი	თემატიკა	დასამტკიცებლად გამოტანილი თემ. რაოდენობა
101	შვტვ სმსმ	10 1
102	სსმ გმვს	42 3
103	მტ სმ	21 6
104	სჰნმ ჰესჰმ სნმ	1 1 1
105	წწ თვ	2 3
106	კჰმ	12
15	რკმ ხ.დაგ. სგამ	3 6 16
107	მმ	26
105	წყ.ინ. ინგ.	1

საბჭომ ერთხმად დაუჭირა მხარი წარმოდგენილ ინფორმაციას.

დადგენილება მიღებულ იქნა ერთხმად.

**5.მოისმინეს:** სტუდენტური თვითმმართველობის თავმჯდომრის დემეტრე ჯანჯალაშვილის ინფორმაცია ფაკულტეტის საბჭოში შემავალ სტუდენტთა ახალი შემადგენლობის დამტკიცების შესახებ.

**6.მოისმინეს:** სტუ-ის უძრავი ქონების ბაზრის კვლევის ცენტრის ხელმძღვანელის პროფესორ გრიგოლ ხოფერიას მოხსენება 2019 წელს გაწეული სამუშაოების ანგარიშის შესახებ. (მოხსენება თან ერთვის ოქმს).

**7. მოისმინეს:** საუნივერსიტეტო, სასწავლო-სამეცნიერო ხიდსაცდელი ცენტრის ხელმძღვანელის თამაზ ცვარიანის მოხსენება 2019 წელს გაწეული სამუშაოების ანგარიშის შესახებ. (მოხსენება თან ერთვის ოქმს).

#### **8. მიმდინარე საკითხებში**

**მოისმინეს.** ფაკულტეტის მენეჯერის პროფესორ გინა გურეშიძის ინფორმაცია. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ:

1. №102 დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორ ფატიმა ვერულაშვილს ესაჭიროება ფინანსური დახმარება.
2. №101 დეპარტამენტის პროფესორს ამირან ბუქსიანიძეს საიუბილეო წელთან დაკავშირებით გადაეცეს პრემია ერთი თვის ხელფასის ოდენობით.

**დაადგინეს:** 1. ბიუჯეტის დამქირავებლის მიერ გაწეული „სოციალური დახმარების“ მუხლიდან №102 დეპარტამენტის ასოცირებულ პროფესორს ფატიმა ვერულაშვილს გამოეყოს თანხა ერთი თვის ხელფასის ოდენობით.

2. №101 დეპარტამენტის პროფესორს ამირან ბუქსიანიძეს ფაკულტეტის ბიუჯეტიდან მიეცეს პრემია ერთი თვის ხელფასის ოდენობით.

**მოისმინეს:** სამშენებლო ფაკულტეტის დეკანის, პროფესორ დავით გურგენიძის ინფორმაცია „სამშენებლო ფაკულტეტის ლაბორატორიების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესწავლა-შეფასების“ კომისიის შექმნის შესახებ. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საჭიროა შექმნას „სამშენებლო ფაკულტეტის ლაბორატორიების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესწავლა-შეფასების“ კომისია შემდეგი შემადგენლობით:

1. დავით გორგიძე, პროფესორი, თავმჯდომარე;
2. ზურაბ ციციშვილი ასოც. პროფესორი, წევრი;
3. სურგულაძე ბექა პროფესორი, წევრი;
4. ავთანდილ გოგოლაძე, ასოც. პროფესორი, წევრი;
5. ვიტალი დვალისხილი, პროფესორი, წევრი;
6. მარინა ჯავახიშვილი, პროფესორი, წევრი;
7. ია მშვიდლობაძე, ასოც. პროფესორი, წევრი;

8.დემეტრე ჯანჯალაშვილი, სტუდენტი.

საბჭომ ერთხმად დაუჭირა მხარი წარმოდგენილ ინფორმაციას.

დადგენილება მიღებულ იქნა ერთხმად.

სამშენებლო ფაკულტეტის

საბჭოს თავმჯდომარე, პროფესორი

/დ. გურგენიძე/

საბჭოს მდივანი, პროფესორი

/რ. იმედაძე /